

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2  
2022 წლის 21 იანვარი

ქ. ვანი

**„ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აგვისტოს №25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## **მუხლი 1**

„ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აგვისტოს N25 დადგენილების ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 08.08.2017 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.121.016253) დანართში „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დებულება“ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

**1. დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.“

**2. დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საბჭოს თავმჯდომარეობს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.“

**3. დანართის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4<sup>1</sup> პუნქტი:**

„4<sup>1</sup>. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით. კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს ან საბჭოს წევრთა შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.“

**4. დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საბჭოს სხდომას 3 თვეში ერთხელ მაინც იწვევს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.“

**5. დანართის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. საბჭოს სხდომა ღია და საჯაროა. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც. სხდომაზე დასწრების და ინიციატივების წარდგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რისთვისაც ისინი სხდომის დაწყებამდე 3 დღით ადრე მაინც მიმართავენ საბჭოს თავმჯდომარეს, წარუდგენენ ინიციატივას წერილობითი ფორმით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გამოყოფენ ერთ წარმომადგენელს საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.“

**6. დანართის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**



„9. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.“

**7. დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში.“

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

